

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

ნათია ძიძიგურის ისტორია

ნათია ძიძიგური, ევროპისმცოდნე და ესპანური ენის პედაგოგია. მას ბრალი ედება წვრილმანი ხულიგნობისთვის, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასა და მისი შეურაცხყოფისთვის.

ნათია 2024 წლის 19 ნოემბერს თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე დააკავეს. ის სხვა მომიტინგეებთან ერთად აპროტესტებდა არჩევნების გაყალბებას, "ქართული ოცნების" ანტიდასავლურ კურსსა და სამოქალაქო საზოგადოებისადმი შემზღუდველ პოლიტიკას, რა დროსაც მოულოდნელ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

"ქუჩა პროტესტის მონაწილეებით იყო სავსე. სწორედ ამ დროს, ტროტუართან დავინახე დაკავების ავტომობილი, რომლისკენაც მიჰყავდათ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მიათრევდნენ ერთ-ერთ აქციის მონაწილეს, მკლავებით უჭერდნენ კისერში, ერთი პოლიციელი თმებში ექაჩებოდა და დანარჩენი პოლიციელები ხელებში. ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო ამ ყველაფრის დანახვა, ამიტომ პოლიციელს მივმართე თხოვნით, რომ არ დაეკავებინათ მომიტინგე. ამ დროს, ერთ-ერთი პოლიციელი მომიტრიალდა, სწორედ ის, რომელიც წინა რიგებში იდგა მელიქიშვილის გამზირზე, მიცნო და სხვებს გადასცა - "ესეც შეათრიეთ, რამდენს ტლიკინებსო". ამ დროს, სხვა პოლიციელები მომვარდნენ და ძალის გამოყენებით ჩამსვეს საპოლიციო ავტომობილში."

სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა მაშინ, როდესაც ნათია ავტომობილში ძალის გამოყენებით ჩასვეს.

დაკავების წამიდან, მასზე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური ძალადობა და სექსუალური შევიწროვება. ნათია დაკავების ავტომობილში მოთავსებისთანავე მუხლებზე დაჩოქილი აღმოჩნდა. მთელი გზა ახალგაზრდა ქალი პოლიციელებს თხოვდა სავარძელზე დაჯდომის უფლება მიეცათ, რადგან თავს შეუძლოდ გრძნობდა, რაზეც მას პოლიციელები შეურაცხმყოფელი რეპლიკებითა და ცინიკური შეძახილებით პასუხობდნენ.

"ისინი ძალიან დამამცირებელი ჟესტით მიმითითებდნენ და მომმართავდნენ, მუხლებზე დამაყენეს ძირს მანქანაზე, არადა უკანა სავარძელზე მხოლოდ 1 პოლიციელი იჯდა და მათ მე ვთხოვდი, რომ სავარძელზე დავესვი, თუმცა ამას არ აკეთებდნენ. თან მივმართავდი: "თუ შეიძლება, დამსვით სავარძელზე, უსაფრთხოების წესებით დარღვევით გადავადგილდები". ისინი მპასუხობდნენ: "ღვედი ხომ არ გაგიკეთოთ", "ახლა გავაჩერებთ და დაგსვამთ", მაგრამ მთელი გზის განმავლობაში მე მუხლებზე ვიდექი და ისე გადავყავდი".

აღსანიშნავია, რომ ნათია ერთ-ერთი პოლიციელის მხრიდან სექსუალური შევიწროვების ობიექტიც იყო. “სამართალდამცავი” მინივენის უკანა რიგში იჯდა, ნათიას მოწოდებაზე, უფლება მიეცათ ავტომობილის სავარძელზე დამჯდარიყო, არაერთხელ ხელის მოძრაობით აჩვენა მოთავსებულიყო მის კალთაში. ამ მდგომარეობაში ნათია 25 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა. სრული გზა იქამდე, სანამ მას განყოფილებაში გადაიყვანდნენ.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ნათიას საქმეზე ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, თუმცა არცერთი მათგანი იყო ნათიას რეალური დამკავებელი. ნათიას თქმით, მას შეუძლია სამართალდამცავების იდენტიფიცირება, მათ შორის იმის, ვინც ის დააკავა.

“თვითონ განყოფილებაში ოქმის შედგენისას, დამკავებელ პირებში ჩაწერეს პატრულ-ინსპექტორი ქალის სახელი, როდესაც რეალურად განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დამაკავა. მისი ფოტოც კი მაქვს და ნამდვილად შემიძლია მისი იდენტიფიცირება.”

საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენას. მოსამართლე, ზვიად ცეკვავამ, მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე ნათია ძიძიგური სამართალდამრღვევად ცნო კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებში და სახდელის სახით შეუფარდა შენიშვნა.

სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან დაკავებულის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიანი რეაგირება ჯერ არ მომხდარა.

არსებული ინფორმაციით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით დაიწყო, რაც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას ითვალისწინებს, თუმცა დამნაშავე პოლიციელის ქმედება, შესაძლოა შეფასდეს, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობად. ნათია დაიბარეს და გამოჰკითხეს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, სადაც ნათიამ გამომძიებელს მოუყვა, რომ დაკავების დროს მან პოლიციელებს თავად მოუწოდა, ჩაერთოთ სამხრე კამერები, რათა დაფიქსირებულიყო მისი შევიწროების ფაქტი. ამ ყველაფრის პარალელურად, ვახტანგ გომელაურმა გააკეთა განცხადება, რომ 1%-ითაც არ უშვებს, რომ ნათია ძიძიგურის მონაყოლი მართალია.

“ეს არის მართლა ძალიან სამარცხვინო ბრალდება. პირდაპირ გეტყვით, ეგეთი რაღაც მართლა არ გამიგია. როგორ ვთქვა?! ასეთი საქციელი და ასეთი ბრალდება არასოდეს არ ყოფილა. მუხლებზე დამაყენეს და... პოლიციელებს და მკვლელებს არ ვექცევით მასე, როცა ვაკავებთ ხოლმე. მართლა მკვლელებს და რეციდივისტებს არ ვექცევით ასე და ახალგაზრდა გოგო... როგორ წარმოგიდგენიათ ახლა, ქართველი პოლიციელი... მუხლებზე დააყენეს და ასე მიჰყავდათ?! რაღაცა სისულელეები. დაამტკიცონ, კი ბატონო. კი ბატონო, ეგრე შეიძლება დაგაბრალოთ თქვენ, რომ მოხვედით ჩემს სახლში და აწამეთ ჩემი შვილი, ჩემი... ხომ უნდა დაამტკიცო ელემენტარულად?!”, - განაცხადა გომელაურმა.

ამ ყველაფერზე ნათიამ გომელაურს სოციალურ ქსელში გასცა პასუხი:

“მივმართავ გომელაურს: როცა შინაგან საქმეთა მინისტრი ბრძანდებით, ჯერ საქმის დეტალებს უნდა გაეცნოთ და შემდეგ გამოიტანოთ დასკვნები. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მივაწოდე ინფორმაცია გუშინ. შეგიძლიათ გაეცნოთ საქმეს. ცილისწამება რომ დანაშაულია, ეს ჩემზე უკეთ უნდა იცოდეთ და არ უნდა გეშლებოდეთ. რატომ ჰქონდათ პოლიციელებს სამხრე კამერები გამორთული? მე მოვუწოდე ჩართვისკენ, რომ დაეფიქსირებინათ, თუ როგორ ვიდექი მუხლებზე. კითხვაზე პასუხი იყო მხოლოდ სიცილი. 3 მოწმე, რომლებმაც დაინახეს აღნიშნული ფაქტები, ისინიც ცრუობენ?!”

მიუხედავად იმისა, რომ ნათიას კარგად ახსოვს მოძალადე პოლიციელების სახეები და მათი ფოტოებიც აქვს, საგამოძიებო სამსახურის მიერ, დამნაშავეთა გამოვლენისა და დასჯის თვალსაზრისით ჯერჯერობით, რეაგირება არ მომხდარა. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ნათიასთვის დაზარალებულის სტატუსიც კი არ მიუნიჭებია.